1
1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

Обязательный экземпляр







საპირველმაისო დემონსტრაციაზე ნახ. ი. გაბაშვილისა

— რატომ მოდის ასე ჩუმად ეს კოლონა, ნუთუ მოცეკვავეები და მომღერლები არა ჰყავთ?

— ეგ კოლონა ასე ჩუმად იმიტომ მოდის, რომ სხვაზე მეტს ლაპარაკობს!..

# ნიანგი

№ 8. თბილისი. 1949 წ. გამომცემლობა „კომუნისტი". გამოცემის წელი XXVI. ფასი 2 მან.

## სწორი მისამართი

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სამხედრო მინისტრი ფორესტოლი გაგიჟდა. მას აკვიატებული აქვს აზრი, თითქოს საბჭოთა ჯარი ამერიკის ტერიტორიაზე შეჭრილიყოს. გაზეთებიდან

ნახ. გუროსი



—ეს მღელვარეთა განყოფილებაა? წყნარი გიჟები სადღა იმყოფებიან?
—ნაწილი ჰერსტის გაზეთების რედაქციებში, ნაწილი, კონგრესში დანარჩენები აქეთ-იქით არიან გაბნეულნი!..

## ახალი ჩინეთი

—ჩუ-დეს ყველა ჯარისკაცი
დიდ მადლობის სათქმელია,
დღეს ჩინეთის შინაარსი
სულ მზესავით ნათელია.

კომუნიზმის დიად გზაზე
მას დღეს მეხიც არ აშინებს;
მაო-ძე-დუნს ვაუმარჯოს,
გაუმარჯოს ახალ ჩინეთს!

წინათ ყველამ არ იცოდა
ძველ ჩინეთში რა ხდებოდა:
ვინ მისდევდა, ვის მისდევდა,
ვინ ვის თავზე ახტებოდა.

ვინ ვის ჰყავდა მოსაკლავად
გზაში თოფით ჩაწოლილი;
ჩან-სიანი ჩუნს ებრძოდა,
უ-პეი-ფუს—ჩან-ძო-ლინი.

ეს ქვეყანა ამოდენა
გადიყოლა მხოლოდ ომმა,
ვისაც მისცეს გენერლობა,
ყველამ ტახტი მოინდომა.

ტახტზე ჯდომას რა სჯობია,
მაგრამ ჯარიც უნდა გყავდეს,
შენს ჯარისკაცს—სხვისი კაცი
ცხვირს არ უნდა უნაყავდეს,

თორემ მუდამ ახარხარებ
აზიას და მთელ ევროპას,
უგენერლოდ სალდათი სჯობს
უსალდათო გენერლობას.

გენერლობა კი ბოლო დროს
ყველას მისცა ჩან-კაი-შიმ,
ცხრა ათასი გენერალი
იჯდა მარტო შანხაიში.

მაგრამ როცა გაჩნდა ჩუ-დე,
ვაი, მათი ცოდო-ბრალი,
შენს მტერს, ერთად ცხრა ათასი
გაქცეული გენერალი!

ვაჟკაცობა ჩან-კაი-შის
ველარც ერთმა ვერ უჩვენა,
ვერ უშველა ამერიკამ,
თვით ტრუმენმა ვერ უშველა.

თუმცა კარგად გამოტენა
ქვემეხი და ქისა მათი;
ჩან-კაი-შიც ისე გაჰქრა,
არც დასტოვა მისამართი.

დღეს ჩინეთის მიწა-წყალზე
განახლების რეკავს ზარი;
სისხლისმსმელი სადღაც გარბის,
მისდევს უკან ჩუ-დეს ჯარი.

აფრასიონი



# მოკითხვითა და ნახვის ნატვრით

ამჯერად აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე მოკითხვა და ნახვის ნატვრა ერთ ბარათში შევაერთოთ. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ახლა, ამ გაჩაღებულ საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეებში, მათ თანაბრად დაიმსახურეს ნიანგის ყურადღება და მათთან ჯერ-ჯერით გასაუბრება ბევრ დროს მოითხოვს. ეს დრო კი — მათ არა აქვთ, ასე ვსთქვათ, დაყურსული არიან ტემპებით.

ამრიგად და ამის გამო, ნიანგმა გადასწყვიტა შეაწიოს თავისი მხიარული სიტყვა და გულითადი სურვილები, როგორც აკაკი იტყოდა — „ცალცალკე და ყველას ერთად".

ჯერის მიხედვით, პირველ მოკითხვას **სოფელ ხაქობოს** (სიღნაღის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აქ **აბრამ მჭედლიშვილს** მოვახსენებთ ნახვის ნატვრითა!

ამხანაგო აბრამ! გახლდით საქობოში, თვალი გადავავლეთ თქვენს მუშაობას. ბევრი რამ კარგი ვნახეთ და ვისიამოვნეთ. პირადად ვერ შეგხვდით, (მინდორშია — გვითხრეს), მაგრამ დაწვრილებით გავიგეთ, თუ რა გულმოდგინედ ეკიდება თქვენი კოლმეურნეობა ნაკვეთების ინდივიდუალურად მიჩენისა და დამუშავების საქმეს.

ჩინებულად დაიწყეთ ეს საქმე: თავის დროზე გადაწყვეტილება მიიღეთ და ეს გადაწყვეტილება მარტო ქაღალდზე კი არ დარჩა, გულდაგულ მიამაგრეთ ნაკვეთებზე კოლმეურნეები.

— იმუშავეთ კარგებო, არაფერი დაზოგოთ, აი გავა წელიწადი, შევაჯამებთ თქვენს წარმატებებს და პრემია-დანამატი ჩვენზე იყოსო, შეაგულიანეთ ისინი.

კაი მოგეცა, კარგი სიტყვაა. მან წაახალისა ინდივიდუალურად მიმაგრებულნიც. შესანიშნავ შედეგებსაც მიაღწიეს. თქვენი დაპირების თანახმად, წელიწადი მართლაც გავიდა, კოლმეურნეებმა მართლაც მოისურვეს დამსახურებული განსხვავებანი, საანგარიშო კრებაზე მართლაც შეგახსენეს, რაც საჭირო იყო და თქვენ განცვიფრდით:

— როგორ? აქამდე არ იცით, რომ მე თავმჯდომარე ვარ და არა მოანგარიშე? — უპასუხეთ თქვენ, — ეგ აღრიცხული უნდა იყოს, ანგარიშში უნდა გქონდეთ და მე რეზოლუციას დავადებდი.

კოლმეურნეებიც განცვიფრდნენ. ალბათ უცოდინარობით მოუვიდათ, როცა ეგონათ, რომ აღრიცხვა-გამოანგარიშების საქმეს თქვენ და თქვენი გამგეობა მოაგვარებდით ისე, როგორც ამას მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს. მათ საანგარიშო დარგის მუშაკებს მიმართეს.

— ერთი ამათ უყურეთ! — შეიცხადა ბუღალტერმა, — ჩვენ საიდან დაგვესიზმრებოდა თქვენი მუშაობის აღრიცხვა, თუ მოანგარიშემ ცნობები არ მოგვაწოდა?

ახლა მოანგარიშესთან მივიდნენ დაზარალებულნი. იმან გამგეობას გადააბრალა, გამგეობამ თქვენზე მიუთითა და ასე, „რწყილი და ჭიანჭველას" თავგადასავალს ახალი ვარიანტი მიემატა.

რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ თქვენ და თქვენი გამგეობა სრულებით არ ფიქრობთ, ამ მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგებაზე. ჩვენ კი ვფიქრობთ, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 19 აპრილის დადგენილება გავალებთ ამაზე ფიქრსაც და სწორ მოქმედებასაც.

შემდეგ მოკითხვას ამავე რაიონის **სოფ. ქვემო-ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტერს შ. გოჩიტაშვილს** მოვახსენებთ! თქვენი საანგარიშოს ხალისიანი წკაპა-წკუპი აქაც გვესმის, ამხანაგო შალვა! თქვენს კოლმეურნეობაზე ბევრი კარგის გაგონება გვახარებს, თქვენი თავმჯდომარე თურმან ტარყაშვილი ხომ ერთობ ბეჯითი და სამაგალითო მომუშავეა! ამას მტკიცება არა სჭირია, მაგრამ ერთი შენიშვნა გვსურს შემოგკადროთ:

თქვენ წელს ჩაშალეთ ფართობებში ადგილობრივი სასუქის შეტანის გეგმა. როგორც გავიგეთ, თქვენ წინაალმდეგი ბრძანდებით ადგილობრივი სასუქის აღრიცხვისა. ამის შესახებ ერთობ კომპეტენტური აზრიც გქონიათ: თურმე საჭიროდ არ სთვლით ადგილობრივი სასუქის აღრიცხვას, დაგროვებას და განაწილებას.

რატომ, ამხანაგო შალვა? თუ გგონიათ. რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილებაში აღნიშნული მითითება ქვემო-ბოდბეს არ ეხება, გარწმუნებთ, ეს. მეტი რომ არ ვსთქვათ, გულუბრყვილობად ჩაგეთვლებათ და ჩვენი სურვილია ამის შესახებ ჯეროვანი განმარტება მოგცენ რაც შეიძლება დაჩქარებით!

ვიცით, თქვენ ახლა ჩუმად ჩაიბუზღუნებთ:

— რაღა მე მომნახა ნიანგმა? რატომ არ მოიკითხავს **სოფელ წილკნის** (მცხეთის რაიონი) **სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძმებს ვ. ახსაბაძეს და ი. შალილაშვილს,** რომელთაც საგაზაფხულო თესვის პირველ დღესვე დაარღვიეს აგროტექნიკური წესები: ნათესი უხარისხოდ დაფარცხეს, ნახევარი თესლი მაღლა დასტოვეს და ამას კი გულდამშვიდებით უყურებდა აგროტექნიკოსი **მ. ქაშიაშვილი?**

— ან იქნებ არც ის მოეხსენება ნიანგს, რომ **სოფ. ნაფარეულის და ყარაჯალის** (თელავის რაიონი) **ცხაკაიას, ბერიას და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს** ტრაქტორისტებისათვის დღემდე არ მიუციათ გასული წლის შრომადღეებზე კუთვნილი მარცვლეული, როცა სხვა წევრებს დიდი ხანია, რაც ანგარიშში გაუსწორესო?

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ყველაფერი ეს კარგად იცის და თქვენთან ერთად, მათაც მიმართავს მოკითხვითა და ნახვის ნატვრით.

ნინვა

## სიტყვა და საქმე

ნახ. ი. გორდელაძისა




ვამბობდით და...




ავასრულეთ.




ვამბობთ და...




ავასრულებთ.

## ჩვეულებრივი მოვლენები დასავლეთ გერმანიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ჟურნალისტის შენიშვნები)

### მესერშმიტი მუშაობს

**1** დასავლეთ გერმანიაში ამერიკელების ლოცვა-კურთხევით, დღითიდღე წელში მაგრდება ფაშიზმი. ცნობილი ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავენი კვლავ იკავებენ საპასუხისმგებლო ადგილებს, გულდაგულ მუშაობენ ახალი იმპერიალისტური ომის მზადებაში წვლილის შესატანად.

ამას წინათ, „დენაციფიკაციის“ სასამართლომ გაამართლა ცნობილი ფაშისტი ავიაკონსტრუქტორი მესერშმიტი და იგი ახალ სამსახურშიც განაწესა. ამერიკელმა ომის გამჩაღებლებმა მესერშმიტი დანიშნეს აუგსბურგის დიდ სამხედრო ქარხანაში, სადაც თითქოს ამზადებენ ლითონის კარკასებიან „სტანდარტულ სახლებს“.

გერმანიის პროგრესიული პრესის ჩვენებით, ეს ის „სტანდარტული სახლებია“, რომლებიც ომის შემთხვევაში უნდა აფრინდნენ ჰაერში და საათში შვიდასი კილომეტრის სისწრაფე განავითარონ ატომური ბომბების ჩამოსაყრელად.

### დოქტორი კურტ შუმახერი

**2** სოციალ-დემოკრატების ლიდერი კურტ შუმახერი სისტემატურად გამოდის როგორც ამერიკელებისა და ინგლისელების ჟანდარმი. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სიტყვაში შუმახერმა განაცხადა:

—ევროპაში აღმოჩნდა ორი ნამდვილი მეთაური, რომელთაც შესწევთ უნარი ებრძოლონ კომუნისტებს. ეს მეთაურები ვართ მე და დე-გოლი, რომლებიც ამერიკელ ხელისუფალთა ხელმძღვანელობით ვმუშაობთ!

მაგრამ გერმანიის მშრომელ ხალხს არ ესაჭიროება შუმახერის ცინიკური გულახდილობა. ის მთელ პროგრესიულ კაცობრიობასთან ერთად კარგად იცნობს ომის გამჩაღებელთა ნასუფრალით გამოკვებილი ამ ორი არამზადის საქმიანობას. გერმანელ მშრომელებს სძულთ შუმახერი და ზიზღით უცქერენ მის უკბილო ტრაბახს. დასავლეთ გერმანიაში დოქტორ შუმახერზე ხშირად ლაპარაკობენ, რომ მისი (შუმახერის) ტანი თანდათან პატარავდება, მოკლდება და მცირდება.

ამ ირონიის საბაბი შემდეგში მდგომარეობს:

ომის დაწყების წინ კურტ შუმახერს მოსჭრეს მარჯვენა ხელი, შემდეგ მას ამოსჭრეს კუჭი, 1948 წელს მას მარჯვენა ფეხი მოჰკვეთეს.

გერმანიის პროგრესიული სატირული პრესა აღნიშნავს რა ამ ფაქტს, დასძენს, რომ ქირურგები შორიდან იწყებენ შუმახერის ტანის შემცირებას; აჯობებდა მისი თავის მოკვეთიდან დაეწყოთ საქმეო.

ჩვენის აზრით, ამ შეცდომის გამოსწორება არც ახლა იქნება დაგვიანებული.

### ფაშისტობის მოწმობა

**3** ამერიკელების საოკუპაციო ზონაში ფაშისტურ „დამსახურებას“ არა თუ არ სდევნიან, პირიქით, აქეზებენ კიდეც. რამდენიმე თვის წინათ, დასავლეთ გერმანიის ერთ ქალაქში ჰიტლერელმა ვინმე ფუქსმა მოჰკლა თავისი საყვარელი. ამერიკელების საოკუპაციო სასამართლომ მას უაღრესად ლმობიერი განაჩენი გამოუტანა, რადგან ფუქსმა წარადგინა საბუთი, რომ იგი ჰიტლერის, „ესესელთა“ ბრიგადის წევრი იყო.

ამის გამო, ადგილობრივ პროგრესიულ გაზეთში დაიბეჭდა ასეთი რჩევა:

„ნუ ჩაიდენთ მკვლელობას, ვიდრე არ იშოვით საბუთს რომ ჰიტლერელი ხართ, მხოლოდ ფაშისტურ მოწმობას შეუძლიან მოგანიჭოთ შეღავათი“.

ი. გომბორელი

ბერლინი—თბილისი.

# ახალი ანდაზები

1. მოლარეს ჰკითხეს: როგორ მოგწონს ახალი სამსახურიო და რა ვიცი... ხელფასი ჯერ არ დამირიგებიაო.

2. მოშლილ საათს ასწორებდნენ და გამყიდველი იშლებოდაო.

3. კრიტიკისა ვის ეშინიაო და ვისაც სიმართლისაო.

4. გამფლანგველების ჩხუბი—სარევიზიო კომისიას მართალი ეგონაო.

5. ფერმის გამგეს უხაროდა,—ჩვენმა ძროხებმა ლაპარაკი არ იციანო.

## ქარაგმული ნაკვესები

1. არაპასუხისმგებელ მუშაკსაც აძლევენ პასუხისგებაში.

2. ცრამეკაის გარეგებასთან ლიანდაგებზე კაცას გადაურბინა და მორბენეს კაცმანი ავცოთეუხის წასვლას ელდიდა.

3. სუფრაზე მეერი იყო წყალ-წყალა ღვინო და წყალ-წყალა ხიცყეში.

4. ახალგაზრდა პოეტი ცოცხლ სადამოს ჩაისეირნემდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე: იგი დიდი ადამიანის გზას მიჰყვებოდა.

5. იმდენი ხალხი მოაწყდა თეატრს, რომ ითმილარიც ვეღარ შევიდა და სახლში წავიდა: „რადგითი მოვისმენ ჩემს გამოსვლასო“.

ელიშერ ჟიფიანი

# ჩაის ისტორიიდან

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

სოფლ-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის ამხ. ქ. ე. ბახტაძის მიერ გამომუშავებული ახალი ჯიში „ქართული № 2“ უძლებს მეტ სიცივეს და იძლევა დიდ მოსავალს.



1. ჩაი იმუშავებდა სითბოს ადამიანში...



2. ადამიანმა (ამხ. ქ. ე ბახტაძემ) გულთბილი დამოკიდებულების შედ სითბო ჩაუნერგა ჩაის.

### მარტინ ბაქსტერი

# დამნაშავე

მე სრულიად უწყინარი კაცი ვარ. ქუჩის მეორე მხარეს სწორედ გზაჯვარედინთან გადავდივარ, წითელ შუქზე ვჩერდები, ყვითელზე ყურადღებას ვიმახვილებ და მხოლოდ მწვანე შუქზე ვაგრძელებ გზას.

ურიგოდ ავტობუსში არ შევდივარ. არც გაქანებულ ტრანსპორტს ვახტები. ავდივარ მხოლოდ წინა ბაქნიდან. მანდილოსნებს ადგილს ვუთმობ. ესკალატორის მოაჯირს არ ვეყრდნობი. ვდგები მარჯვნივ, დავდივარ მარცხენა მხარეს. ჯოხს, ქოლგას და ჩემოდნებს საფეხურებზე არ ვდებ. ვაგონის ფანჯრიდან თავს არასოდეს გამოვყოფ. ყოველთვის ვყიდულობ ბილეთს. ვერიდები ახლად შეღებილ საგნებს. ვაფურთხებ მხოლოდ ურნაში. შევდივარ შესასვლელში, გამოვდივარ გამოსასვლელიდან. ვეწევი მხოლოდ სიგარეტ „კემელს“. შესვლისას კარებს მივხურავ ხოლმე. ვზოგავ ელექტროენერგიას, [illegible] გაზეთების.

ხმას ვაძლევ მხოლოდ მმართველ პარტიას. ყოველთვის პატივისცემით ვახსენებ პრეზიდენტს. არ [illegible] მიტინგებში. [illegible] სახელდარი [illegible] ში დავდივარ.

წესიერად ვიხდი გადასახადებს...

მაშ რაღად გამომიძახეს ანტიამერიკული საქმიანობის გამომრკვევ კომისიაში?

გუშინ მივიღე უწყება. იგი ახლა წინ მიდევს. წუხელ მთელი ღამე არ მძინებია.

ვიგონებდი ყველა ჩემს ცოდვას—ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე შესაფერისი.

მაშ რატომ? რისთვის?

შეუძლებელია მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი კონსტიტუცია გავიხსენე და ცოლს ვუჩურჩულე: „ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანადაა გაჩენილი“-თქო, სწორედ იმ დროს, როცა რესტორანის წინ მივდიოდი, საიდანაც ადგილის სიმცირის გამო ზანგებს ერეკებოდნენ.

§) მარტინ ბაქსტერი ნიჭიერი, პროგრესიული ამერიკელი მწერალია. იგი სწერს უმეტესად მოკლე მოთხრობებს და ამ ჟანრის ოსტატად ითვლება.

# თხა ვიყიდე, თხა გავყიდე...

ნახ ა. ბანძელაძისა



— როგორ ჩაატარეთ ტყის დღე?

— შესანიშნავად: შარშანდელი გამხმარი ნერგები ამოვთხარეთ და ახალი დავრგეთ.

— ახალს რომ თხა აფუჭებს, ხომ გახმება?

— რა უშავს, გაისად კიდევ ამოვთხრით და ახალს დავრგავთ!

# მოთხრობები ცხოვრებზე

### ახალი ცოცხი

ინდოეთში ინგლისელმა პლანტატორმა თავისი მამული მიჰყიდა ამერიკელს.

პლანტაციებში მომუშავეთა შორის ჩოჩქოლი ატყდა:

—გაიგეთ? ახლა ამერიკელს ვეკუთვნით.

—მერე, ამით რა შეიცვლება?

—ბევრი რამ.

—მაინც?

—თვიურ ხელფასს ექვსჯერ გაგვიდიდებენ და ექვს თვეში ერთხელ მოგვცემენ...

—სულ ეგ არის?

—ჩვენი ძველი პატრონი ბამბუკით გვცემდა.

—ახალი რაღას იზამს?

—რეზინის ჯოხებს ჩამოიტანს, მას ხომ ბევრი ფული აქვს.

### სასამართლოში

—თქვენ გამოტეხილხართ წინასწარი ძიების დროს, რომ ნამდვილად მოიპარეთ მხატვარ ბობ კინგის სურათი. რას იტყვით?

—სწორია სერ, მოვიპარე.

—სად წაიღეთ სურათი, გაყიდეთ?

—არა, სერ, სურათი არ გამიყიდია.

—ცრუობთ, თქვენ გნახათ რამდენიმე კაცმა, სურათს რომ ყიდდით.

—ვყიდდი, სერ, მაგრამ არავინ იყიდა.

—შემდეგ რა ჰქენით, სად წაიღეთ სურათი?

— სახლში წავიღე, სერ, მეუღლეს გავარეცხინე...

—თქვენ გაარეცხინეთ სურათი „ამერიკაში ყველა მაძღარია“, თქვენ გაანადგურეთ ასეთი შესანიშნავი ქმნილება... რატომ გაარეცხინეთ, ალბათ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარად, ხომ?

—არა, სერ, ტილო, რომელზეც სურათი ეხატა, მეზობელს მივყიდე, რა მექნა, ოჯახი კატასტროფის წინაშე იდგა, პურის ფული არ გვქონდა...

### პროფკავშირის სამდივნოში

—რა ჰქენით, გაარჩიეთ მაკარონის ფაბრიკის მუშის საჩივარი?

—გავარჩიეთ.

—ალბათ მომჩივანის სასარგებლოდ გადაწყვეტდით, ის ხომ ჩვენი კავშირის წევრია!

—არა, ქარხნის მეპატრონის სასარგებლოდ გადაწყდა.

—კი მაგრამ კავშირის წევრის ინტერესები?

—სწორედ კავშირის წევრის ინტერესები გვქონდა მხედველობაში, ქარხნის მეპატრონე ჩვენი კავშირის წევრი გახდა, გუშინ შემოიტანა განცხადება.

ნიანგს მიაწოდა` გიამ




# ვითომ არაფერი?

ნახ. ნ. მალაზონიასი



მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო!

## ფეხბურთის მატჩის შემდეგ

ნახ. ლონისა



— მაშ წავაგეთ რაღა, ბექილო.
— არა, ორით ორია, ორით ორი!
— მე ჩემს საქმეზე მოგახსენებთ.

## დოლარის სამეფოში

### პოლიციის სიბრიყვის წრეში

ამერიკელ რეაქციონერებს გაგიჟება „კომუნიზმთან ბრძოლაში“ ხშირად შეუწყნარებელი სისულელის ფორმას ღებულობს. ამერიკელ ომის გამჩაღებლებს, მსგავს სისულელეებში წარმატებით ბაძავენ მათი ბრაზილიელი კოლეგებიც.

ამას წინათ ბრაზილიის პოლიციამ ინსტრუქცია გაუგზავნა ხელქვეით ორგანოებს, რომელთაც დაავალა აღმოაჩინონ „სახიფათო კომუნისტური აგიტატორი“... განსვენებული ფრანგი რომანისტი ვიქტორ ჰიუგო.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ „სამძებრო რეკორდების“ დამყარების სურვილით გატაცებული ბრაზილიელი პოლიციელები საფლავების ჩხრეკის ინსტრუქციებსაც მიიღებენ.

### „ზემპიონაჟის“ ორგანიზატორები

ვაშინგტონში, ალლან დალესის (ომის გამჩაღებელ ფოსტერ დალესის ძმა) მეთაურობით შეიქმნა კომისია, რომელიც შეუდგა სპეციალურ „ზეშპიონაჟის“ ჯგუფების ჩამოყალიბებას. ამ ჯგუფებში, დალესის განცხადებით, ჩაბმული იქნებიან „საუკეთესო ამერიკელი მეცნიერნი“.

წარმოდგენილი გვაქვს რა აღშფოთებას გამოიწვევდა პატიოსან მეცნიერებს შორის ამ ჯაშუშთა უხუცესის განცხადება, რომელიც მეცნიერთა სახელით ნათლავს განგსტერებსა და ბნელი საქმეების ოსტატებს.

## სარემონტო რემონტი

ყოველ წელს, თითქმის ყოველ კვარტალში უკეთებენ ერთ დაწესებულებას რემონტს, მაგრამ თითქმის ყოველ კვარტალში ისევ სარემონტოა იგი. აი,დამთავრდა ახალი რემონტი. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი თავის რიგზეა, ჩააბარებენ, ჩაიბარებენ და რამდენიმე დღის შემდეგ... კვლავ ახალ რემონტზეა ლაპარაკი. სარემონტო კანტორის არტელს სცვლის სხვა არტელი, მოდის ახალი წარმომადგენელი, იგი გულმოდგინედ ათვალიერებს დარბაზს და გაოცებით ამბობს:

— ეს რა უქნიათ, ეს რასა ჰგავს? ყველაფერი უხარისხოდ და უგემოვნოდ არის გაკეთებული. ჩვენი არტელი ამას იკადრებს? პასუხისგებაში უნდა მიგვეცათ, როგორ ჩაიბარეთ ასეთი ხარისხით შესრულებული სამუშაო? — იტყვის ის და დირექტორის კაბინეტის კარებს ამაყად შეაღებს.

რემონტისაგან გაწამებული დირექტორი უარზეა.

— რას ლაპარაკობთ? — რემონტს კიდევ რემონტი გავუკეთო? სად გაგონილა, სად არის სამაგისო თანხები? — ეუბნება ის გულმოსული. მაგრამ საქმეში ერევიან დაწესებულების გულკეთილი ადამიანები, იხარჯება ტკბილი სიტყვები ახალი არტელის წარმომადგენლის სასარგებლოდ და...

კვლავ იწყება ერთი ოთახიდან მეორე ოთახში მაგიდების გათრევ-გამოთრევა, ქაღალდების ძრევ-დარევა, დერეფანში მოფუსფუსე თანამშრომელთა უკმაყოფილო შეძახილები:

— მოიცათ, კაბა არ დამისვაროთ!

— დაგექცა ოჯახი, არ გამიფუჭა კოსტუმი?!

გადის დანიშნული დრო, მაგრამ... რემონტის რემონტი მხოლოდ ახლა იწყება. ამღვრეულ გუნებაზე მყოფი დირექტორი ანგრეულ კაბინეტში იხმობს არტელის წარმომადგენელს:

— როგორაა საქმე? რემონტი ხომ დღეს უნდა დაგვემთავრებინათ, თქვენ კი მხოლოდ ახლა იწყებთ!

— მართალია, ამხანაგო დირექტორო, მაგრამ მასალა ვერ ვიშოვნეთ!

— ფულის მიღებამდე მპირდებოდით ჩვენი არტელი ყველაფრით მომარაგებულიაო, ახლა კი სხვას ამბობთ! — ხმას უწევს დირექტორი.

— გულის მოსვლით საქმე არ გაკეთდება, საქმის ინტერესისათვის ტკბილად ლაპარაკი უფრო გვჯობდეს, — „ამშვიდებს“ ინჟინერი.

— ხარჯთაღრიცხვაში ოცი ტონა გაჯი გეწერათ, თქვენ უკვე ორმოცი ტონა დაგიხარჯავთ, ეს როგორღაა!

— თქვენ დირექტორი ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, რომ გაჯი საჭმელი არ გახლავთ. მაშასადამე, ჩვენ ვერ შევჭამდით.

— მაშ რა იქნა ზედმეტი ოცი ტონა?

— თქვენმა კედლებმა შეჭამეს... სამაგიეროდ ხარისხი შეამოწმეთ...

— კედლებს არაფერი ეტყობა, თქვენ კი ხარისხზე მელაპარაკებით, — მიუგებს გაჯავრებული დირექტორი და მაგიდაზე მუშტს ურტყამს.

დარტყმაზე კედლებიდან და ჭერიდან ზრიალი ისმის და გაჯი ძირს ცვივა...

— აი თქვენი ხარისხი! — ყვირის დირექტორი და საქმე იქამდე მიდის, რომ... ხელშეკრულებას კვლავ ახალი ხელშეკრულება სცვლის, არტელს — არტელი და საკმაო შესვენებით სარემონტო რემონტის რემონტი გრძელდება. აი, თითქოს ისიც დამთავრდა, უნდა ჩაიბარონ მაგრამ დირექტორს გული სტკივა. ყველაფერი უხარისხოდ, ყველაფერი ნაუცბადევად არის გარემონტებული. იგი საყვედურობს.

— როგორ გეკადრებათ, — ამტკიცებს ახალი არტელის წარმომადგენელი და ხარისხის დასამტკიცებლად კედელს ხელს შემოჰკრავს... შემოჰკრავს და იგრიალებს „ხარისხი“, ძირს ცვივა გაჯიც და ტკეჩიც. ჭერიდან ვარდება მომსკდარი გაჯის მოზრდილი ნაჭერი და დირექტორს თავში ეცემა. მაგრამ იღბალი: დირექტორი უვნებლად დგას და ტანსაცმელს იწმენდს. არტელის წარმომადგენელი ღიმილით ამბობს:

— ეს რომ სქლად გაგვეკეთებინა, ხომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილ ნაჭერს დაესახიჩრებინეთ? ჩვენ, პირველყოვლისა, ხალხს ვუფრთხილდებით, თქვენ კი დაგიჟინიათ: ხარისხი და ხარისხიო, — ამბობს იგი და ამბავი კვლავ იწყება თავიდან.

ასე პერმანენტულად, დაუსრულებლივ სწარმოებს რემონტი, განუწყვეტლივ ლაპარაკია ხარისხზე, ხოლო თვით ხარისხი კი არსად ჩანს, არც ბოლო უჩანს ამ გაწამაწიას.

თქვენ გაინტერესებთ სად ხდება ეს ამბავი? ბევრგან, აი, თუნდაც ჩვენთან, თოჯინების ქართულ თეატრში შემოიხედეთ, — გულამოსკვნით დაამთავრა ერთმა ჩემმა მეგობარმა.

ქ. გელათელი

## მეშის ბურთი

„ფეხბურთის ტრფიალიო“—რომ იტყვიან—სწორედ ამხ. გუნიაზეა ზედგამოჭრილი. ეს ის გუნია გახლავთ ა/კ. რკ. გზ. თბილისის გზის განყოფილების მოადგილედ რომ ითვლება კადრების დარგში. ფეხბურთით გატაცებამ გუნიას თავისი საუწყებო საქმიანობაც კი თურმე სტადიონად წარმოადგენინა, სადაც ფეხები მეტადაა დატვირთული, ვიდრე თავი.

მაგრამ ამ სპორტსაც აღმოუჩნდა უგულებელმყოფელი. ა/კ. რკ. გზ. თბილისის გზის განყოფილების პარტიულ კრებაზე, სადგ. ხაჭესის მორიგემ ამხ. რევიშვილმა შეჭკადრა გუნიას, რომ რკინიგზა სტადიონი არ არის, რომ მოვალეობის შესრულებას გულისყური სჭირია.



როგორ? გუნიას შეჭკადრეს კრიტიკა? მერე ვის? ხელქვეითმა? დატრიალდა გუნია. გამოცდილი მუშაკი, კომუნისტი რევიშვილი მან გიჟად გამოაცხადა, მოიშველია ფორმალური უფლებები, რევიშვილი შეამოწმებინა ფსიქიურ დაავადებათა ყველა ინსტანციაში. მაგრამ რევიშვილი სრულიად ნორმალური აღმოჩნდა, ისევე, როგორც გუნიას მიმართ მისი კრიტიკა იყო ნორმალური.

გუნია არ სცნობს ასეთ დასკვნებს, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ არანორმალურ ადამიანს შეუძლიან გააკრიტიკოს უფროსის უთავბოლობა!

და თუ ამან არ გასჭრა, არის გამოსავალი: რევიშვილს მეშის ბურთივით „აუტში“ მაინც „გადააგდებს“ სადმე... ვსთქვათ, ბაკურიანის შტოზე. მაშ რა ჰგონიათ, რკინიგზა სტადიონი ხომ არ არის, რომ სწორად გატანილი ბურთი ჩაუთვალონ?

ოღონდაც, რკინიგზა—სტადიონი არ არის.

პენალტი

# სამტრედიული საქანელა

დიდი გაქანების კაცია რკ.გზის სამტრედიის გზის განყოფილების უფროსი ამხ.ბ.გოგოლაძე. სპორტში მას ყველაზე მეტად საქანელა უყვარს. იმდენად უყვარს, რომ მარტო თვითონ კი არ ქანაობს—საქმეებსაც აქანავებს.

ამას წინათ გოგოლაძემ მშვენიერი საქანელა მოაწყო: შეასკუპა ზედ 13 ცარიელი ვაგონი და ფოთისაკენ გააქანა. ფოთმა უკან უბიძგა, გოგოლაძემ კვლავ გაჰკრა ხელი და ვაგონები ოცჯერ გააქან-გამოაქანა —ფოთსა და სამტრედიას შუა.

საქანელა ძლივს შეაჩერა ფოთის სადგურის უფროსის ამხ. იოსელიანის პროტესტმა. მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს ვაგონებს საქმიანი დანიშნულება.

რა ეშველება საქანელას? თვით გოგოლაძე ხომ არ აპირებს მასზე გაქანებას?




## ჩანგალმა გასჭრა

„ნიანგის“ მე-5 ნომერში მოთავსებულ წერილში მხილებული იყო ფოთის რაიონის ხოფ. ხალვამიჩაოს კოლმეურნეობა „ხოციალიზმის“ თავმჯდომარე ლვამიჩავას და მის ხელისშემწყობთა დანაშაულობანი.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ი. წურწუმია გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ბრალდებები მთლიანად დადასტურდა. საქმე გადაეცა პროკურატურას ლვამიჩავას და მის ხელისშემწყობთა პასუხისგებაში მისაცემად.

სასამართლოს დადგენილება დამატებით გადმოეგზავნება რედაქციას.

— : —

ქ. ფოთის საავადმყოფოს შენობა კეთილმოუწყობელია, სახურავი შეკეთებას საჭიროებს, აფთიაქში და კაბინეტებში წვიმა ჩამოდის, ეზოში ანტისანიტარიაა. ეს უთავბოლობა ამხილა „ნიანგმა“ № 4-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში.

მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ორიგავა გვაცნობებს, რომ აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად მიღებულია ზომები და საავადმყოფოს კეთილმოსაწყობად გადადებულია საჭირო თანხები.

# ნიანგის ფოსტა

### ბათომი

**ა. გოგუას:** ბათომის რკინიგზის საავადმყოფოს გაჭირვებას უჩივით: როგორც თქვენი კორესპონდენციიდან ჩანს, დიდ საცოდაობაში ყოფილა ჩავარდნილი „დაჩაგრული“ დაწესებულება:

ბამბას ითხოვ, „არა გვაქვსო“
ნეტავი თუ რამ დალია,
აბაზანაში არა გვაქვს
საჭირო ცხელი წყალია,
ფეხზე წუღები არ არის,
პერანგ-შარვალზე ფოლაქი,
დამლაგებელი ბუზღუნებს,
არცა ჰყავთ ერთი დალაქი.

თუ ყველა ამ ნაკლს გავითვალისწინებთ, როგორც „დაჩაგრულობას“, მაშინ საავადმყოფო კი არა, თვით ავადმყოფები ყოფილან დაჩაგრულნი, რასაც პირველ რიგში დირექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება, მაგრამ უბედურება ის ყოფილა, რომ:

დირექტორმა არც კი იცის,
ტყუილია თუ მართალი,—დასძენთ თქვენ.

ჩვენ გვგონია, რომ ტყუილი, ან „უკეთეს“ შემთხვევაში გაზვიადებული უნდა იყოს თქვენს კორესპონდენციაში აღნიშნული სხვა დეფექტებიც, თორემ მსგავსი რამ დაუშვებელია ხდებოდეს ჩვენს საავადმყოფოში. ამიტომ ნიანგმა გადასწყვიტა ყველაფერი ეს აცნობოს დირექტორს იმ პირობით, რომ ის გვაცნობებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებული ზომების შესახებ.

### აბაშა

**ბაბილინა დავითაიას:** ცნობისმოყვარედ გვეკითხებით: „ძალიან მაინტერესებს რატომ აჩერებენ აბაშის არტელ „ინკოპთან“ არსებულ უ/დ. სალაროს გამგეს იპოლიტე ესაკიას თავის პოსტზე?“

—ჩვენც გვაინტერესებს თუ ესაკია მართლაც ისე ირჯება, რომ სალაროს წევრებს „ცხვირიდან ძმრად ადენს“ სესხის მიღებასა და ფულის უკან დაბრუნებისას. არა, ეგ დალოცვილი. თუ ფულის მოცემისას მხოლოდ ერთ წყვილ ფეხსაცმელს გაცვეთინებთ სიარულში, რატომ არ ფიქრობს, რომ მეორე წყვილი ფეხსაცმელი მაინც შეგინარჩუნოთ ფულის დაბრუნებისას?

ისიც საინტერესოა, როცა „გულმავიწყობის“ გამო ველარ გაიხსენებს ხოლმე თქვენთვის ზედმეტად გამორთმეულ “შესატანს“ თქვენ რაღად გეჩხუბებათ. ან ფულს მეორედ რატომ გიკავებთ?

იმის მოფიქრება მაინც ხომ უნდა ჰქონდეს, რომ ჩადენილ დანაშაულს გაუგებენ?

მართლაც ძალიან საინტერესოა!

### გორი

**მახვილს:** სწორედ იღბალი ჰქონია საქვაჭრობის გორის მაღაზიის დირექტორს პავლე კალმახელიძეს, რომელმაც გასაყიდად მიღებული მაღალყელიანი ბოტები მომხმარებლებს თვალითაც არ დაანახვა და ჩუმად შინაურებსა და მეგობრებს გაუნაწილა.

ეს, მართალია, მისი მეგობრების იღბალზე ლაპარაკობს, პირველ რიგში, მაგრამ პავლეს იღბალიც ხომ იგულისხმება, როცა მისთანა უკადრის ქმედობაზე მას ხმას არავინ გასცემს?

„სპეცჩეკები“ დავარიგე,
რას მიქვიან მაღაზია?
თუ წესები დავარღვიე,
არ მიშველის განა ძია?

კალმახელიძეს ასე ალბათ სხვა საქონლის უკანონოდ „გასაღების“ დროსაც ბევრჯერ უმღერია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ „ძიებმა“ როდისმე ხელი აიღონ მასზე და აღარ უშველონ?

მართალია, მის იღბლიანობაზე ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ახლა უკვე გასულია ყელიანი ბოტების სეზონი და ნიანგიც დიდად აღარ გამოეკიდა ამ საქმეს, მაგრამ ნუ დაიჯერებს პავლე კალმახელიძე, თითქოს ზამთარმა შემობრუნება არ იცის და მომხმარებელთა

გულისწყრომის საჩივარი
„ნიანგამდე“ ველარ მივა.

ამის იმედი ნუ ექნება. საჩივარიც მოვა ნიანგამდე და ნიანგიც მივა საქვაჭრობის გორის მაღაზიაში.

### მცხეთა

**კლიენტს:** მკითხველო, მინდა გიამბო
მცხეთის აბანოს ამბავი,
მით მოხარული ვიქნები,
რომ გახდეს დასასტამბავი.

თუ ნიანგსაც თქვენს მკითხველად გულისხმობთ, უნდა მოვახსენოთ, რომ სრულებითაც არ მიაჩნია მას თქვენი აღტაცება საფუძვლიანად.

მაინცდამაინც რა აღტაცების გამოწვევა შეუძლიან იმას. რომ თქვენი აბანო „დაუსრულებლად ავადმყოფობს“. წყალი არა აქვს. ცივა, ბნელა და გაწვალებული კლიენტები თავბედს იწყევლიან? ჩვენის აზრით, თქვენ აშკარად ხუმრობთ.

„ნიანგი“ კი ყოველგვარი ხუმრობის გარეშე მიუთითებს მცხეთის აბანოს გამგეს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მუშაობა,

ნახ. გ. ლომიძისა

## საქმიანი გაფრთხილება

# კაფე „ამერიკა“




— ნასუფრალის იმედიც ნუ გექნება მისტერ, ხომ ხედავთ რა მადიანად შეექცევა!

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, ქ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ხ. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 23/IV. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში შეკ. №, 503. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 972. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 56, ტირ. 7600 უე 01841